

# საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია



საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა  
დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ

**ადვოკატთა გამოკითხვის შედეგები**

## ადვოკატთა გამოკითხვა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ

გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის ოქტომბერში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრების ინიციატივით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 173-მა ადვოკატმა, რომლებმაც შეკითხვებს უპასუხეს წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით.


# მიიჩნევთ თუ არა, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის არსებული სისტემა არის ეფექტური?

■ დიახ;


■ არა;

■ ნაწილობრივ;

■ პასუხი არ არის მითითებული.



# რას მიიჩნევთ დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ რეალურ პრობლემად?



- დისციპლინური პროცესის ნაკლები გამჭვირვალობა;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ბუნდოვანება;
- შერჩევითი მიდგომა სადისციპლინო საქმეების წარმოებისას;
- სადისციპლინო ორგანოების მიკერძოება;
- მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოებაზე დაუსაბუთებელი უარი;
- სადისციპლინო საქმეების განხილვა დახურულ სხდომაზე;
- მოსამართლის მიმართ არაადეკვატურად ლმობიერი სანქციების გამოყენება;
- სადისციპლინო საქმეების წარმოების გაჭიანურება.


# რას მიიჩნევთ დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ რეალურ პრობლემად?

*რესპოდენტთა ცალკეული შენიშვნები:*

- საჩივრის ავტორის ინფორმირებულობა;
- პრაქტიკა (რა ქმედებაზე რა სანქცია ეკისრება მოსამართლეს);
- დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის არაეფექტური მუშაობა;
- დაუსჯელობის სინდრომი;
- იუსტიციის საბჭოს ძირეული რეორგანიზაცია.

# რომელი დისციპლინური გადაცდომები მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ დაემატოს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს?

- მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად;
- მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე უარის თქმა, როდესაც მისთვის ცნობილი იყო საქმის აცილების კანონით დადგენილი საფუძვლები;
- სამსახურის გაცდენა, დაგვიანება ან სამსახურიდან წასვლა ობიექტური მიზეზების გარეშე, რასაც შედეგად მოჰყვა სასამართლო საქმიანობის სერიოზული შეფერხება;
- სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა;
- სასამართლო რესურსის გახარჯვა პირადი სარგებლობისათვის.




## რომელი დისციპლინური გადაცდომები მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ დაემატოს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს?

- *რესპოდენტთა ცალკეული შენიშვნები:*
- მოსამართლის მიერ მიღებული სუბიექტური, ცალმხრივი და მიკერძოებული გადაწყვეტილება, ანუ უკანონო გადაწყვეტილება მამებლობის პრინციპით;
- მოსამართლეს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა თუკი მისმა გადაწყვეტილებამ ზიანი მიაყენა მხარეს;
- პროცესის მონაწილის დისკრიმინაცია და ნებისმიერი სახის შეურაცხოვა;
- ადვოკატებზე ჯარიმების არამართლზომიერად დანიშვნა;
- უნდა დადგინდეს მოსამართლეთა პასუხისმგებლობის ახალი სტანდარტები.

# რომელი სახის დისციპლინურ გადაცდომას მიიჩნევთ ყველაზე უფრო გავრცელებულად?


- საქმის წარმოების უსაფუძვლო გაჭიანურება;
- მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას მიკერძოების გამოვლენა;
- მოსამართლის მიერ სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულების გამოვლენა;
- მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომლიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;
- პროცესის მონაწილეებთან ან საქმით დაინტერესებულ პირებთან კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაცია;
- მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- პროცესის მონაწილეთა და დამსწრე საზოგადოების უღირსი/არაჯეროვანი მოპყრობა;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა.






# მოსამართლის მიერ საქმის წარმოების დროს კანონის დარღვევა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად და რა შემთხვევებში?

- თუ კანონის დარღვევა ამკარაა ან დადგენილია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- თუ ჩადენილია განზრახ;
- თუ შეგნებულად არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას;
- თუ ავლენს მოსამართლის ამკარა მიკერძოებას;
- თუ ავლენს მოსამართლის ამკარა არაპროფესიონალიზმს/არაკომპეტენტურობას;
- თუ ჩადენილია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;
- თუ ჩადენილია არაერთგზის/სისტემატურად;
- თუ მოსამართლემ არ შეასრულა კანონით დადგენილი სავალდებულო მოქმედება;
- თუ არსებით ზიანს აყენებს მხარის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს ან საჯარო ინტერესს;
- თუ მოსამართლე გაცდა კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;
- თუ მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ახლავს კანონით გათვალისწინებული დასაბუთება;
- ზიანს აყენებს მართლმსაჯულების პრესტიჟს და ავტორიტეტს;
- თუ დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ;
- არც ერთ შემთხვევაში.




# ვინ უნდა ატარებდეს წინასწარ შემოწმებას/გამოკვლევას საჯარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე?

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ცალკე სამსახური, რომელიც განახორციელებს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ შემოწმებას/გამოკვლევას;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელე;
- პასუხი არ არის მითითებული.




რა მაქსიმალურ ვადაში უნდა დასრულდეს დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება/გამოკვლევა?




# სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის სხდომები უნდა იყოს:

- ღია;
- როგორც წესი ღია, მაგრამ დაიხუროს მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე;
- ღია მხოლოდ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე;
- დახურული;
- პასუხი არ არის მითითებული.



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე უნდა ქვეყნდებოდეს:

■ სრულად   ■ პერსონალური მონაცემების გარეშე   ■ პასუხი არ არის მითითებული   ■ არ უნდა ქვეყნდებოდეს




# მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს:

■ სრულად;

■ პერსონალური მონაცემების  
გარეშე;

■ არ უნდა ქვეყნდებოდეს;

■ პასუხი არ არის  
მითითებული.



## სხვა რა ძირითად პრობლემებს ხედავთ მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების წარმოების კუთხით და რის გამოსწორებას ისურვებდით:

### რესპოდენტთა ცალკეული შენიშვნები:

- არ უნდა იყოს შემწყნარებლობა;
- საქმის წარმოება უნდა იწარმოებოდეს ღიად, ყოველი გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. გარდა ამისა, საქმის წარმოებაში თავისი პოზიციის გამოხატვის და დასაბუთების უფლება უნდა ჰქონდეთ მხარეებს;
- დისციპლინური დევნა არის ძირითადად პოლიტიზირებული;
- მოსამართლე უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი;
- მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ზემდგომში ყოველი მეათის გაუქმების შემდეგ უნდა დაიწყოს დისციპლინური დევნა, რადგან უკვე დგინდება მოსამართლის არაკვალიფიციურობა;
- გარკვეულწილად არსებობს დაუსჯელობის სინდრომი;
- მოსამართლეები, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა, აუცილებლად უნდა ჩამოშორდნენ სამართალწარმოებას;
- დისციპლინური სამართალწარმოება უნდა ხორციელდებოდეს კანონიერად და მიუკერძოებლად;
- ვისურვებდი სასამართლოს ირონიის, დაცინვისა და უხეშობის გარეშე;
- უნდა გადაიხედოს თითოეული მოსამართლის მიერ განხილული საქმეები. უკანონო გადაწყვეტილებებიდან უცბად კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება უბრალოდ აბსურდია;
- არის დახურული და ზედმეტად გასაიდუმლოებული;
- დამოუკიდებლობის და პროფესიული დონის ამაღლებას;
- ვისურვებდი დისციპლინური საქმეების წარმოება მინიმუმამდე შემცირდეს;

## სხვა რა ძირითად პრობლემებს ხედავთ მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების წარმოების კუთხით და რის გამოსწორებას ისურვებდით:

### რესპოდენტთა ცალკეული შენიშვნები:

- დაისაჯონ ის მოსამართლეები, რომელთაც უდანაშაულო ადამიანებისათვის სასჯელი გამოჰქონდათ;
- ვისურვებდი ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დისციპლინური საქმის წარმოებისას "დაინტერესებული" პირების ზეგავლენას;
- აცილების დაუკმაყოფილებლობა, საქმეების გაჭიანურება;
- საქმეთა დროული განხილვა;
- ძირითადი პრობლემაა დროის ბოროტად გამოყენება;
- ვისურვებდი მოსამართლეების მიმართ იყოს მეტი კონტაქტი და პასუხისმგებლობა ჰქონდეთ საკუთარი მოვალეობებისადმი;
- როგორც ადვოკატზე ასევე მხარეებზე ზეწოლა და დამცირება არ უნდა იყოს;
- ჩვენს მიერ გასაჩივრებულ არცერთ ფაქტზე პასუხი არ მიგვიღია, იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც იუსტიციის საბჭოს წევრმა კონკრეტულ საჩივარზე მიიღო, უნდა დაადასტუროს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელსაც ვადები არ აქვს! პასუხი ანუ შედეგი საჩივრებზე, რომლებსაც იუსტიციის საბჭოს დისციპლინური საქმეების განმხილველი კომისია იღებს, საჩივრის ავტორებისათვის მიუწვდომელია;
- საჩივრის ავტორების აბსოლუტური იგნორირება დისციპლინური საქმეების განხილვაში. ხშირად უარესს აკეთებს საჩივრის ავტორი თავისი განცხადებით ვიდრე სამართლიანობის დამკვიდრება ითვალისწინებს, ვინაიდან ფავორიტი მოსამართლეების მიმართ საჩივრები თაროზე იდება და ამით ხდება მოსამართლეების მანტაჟი, თუ არ მოიქცევა როგორც ხელისუფლების მონა, მაშინ თაროდან ჩამოიღებენ საჩივარს და მოსამართლესაც დასჯიან. საჭიროა საჩივრის ავტორი სრულად იქნეს ჩართული დისციპლინური საქმეების წარმოებაში რათა საჩივარი არ გახდეს განუხილველი;
- მეტი ეფექტურობა და გამჭვირვალობა;
- საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მომჩივანის მონაწილეობით, რათა მოხდეს საჩივრის დასაბუთება.



რა ინფორმაციის განთავსებას ისურვებდით საერთო სასამართლოების  
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდზე - <http://dcj.court.ge/>

*რესპოდენტთა ცალკეული შენიშვნები:*

- სასამართლო პრაქტიკა კონკრეტულ საქმეებზე უფრო ხელმისაწვდომი იყოს ცალკეული საქმეების ჩვენებით, იმ საქმეებზე, რომლებიც უფრო გავრცელებულია;
- ყველა ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და ღია;
- ინფორმაციის სრულყოფა;
- თითოეულ გამოტანილ უკანონო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მოსამართლეთა მითითებით;
- საქმის გაჭიანურებისათვის დასჯილ მოსამართლეთა გვარებს და შედეგებს;
- ემსახურონ მართლმსაჯულებას ეფექტიანად და ხარისხიანად;
- მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების წარმოების შესახებ ინფორმაცია, გადაწყვეტილებების ე.წ. "განმარტება" რისთვის დაისაჯა მოსამართლე ან პირიქით;
- ზედმეტია ამ ორგანოს არსებობა;
- მიუკერძოებლობა;
- რამდენი საქმე იქნა განხილული, თემატიკა, შედეგები;
- მეტი კონკრეტული უღირსი მოსამართლეების მიმართ;
- გამოქვეყნდეს პრაქტიკა, სტატისტიკა და გადაწყვეტილებების სრულად;
- სრულ სახელსა და გვარს, საქმის ვითარებასა და შედეგს.

# საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია



2014 წელი